ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

სენატის დებულება

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N22.

თარიღი: 13.06.2024 წ.

დადგენილება N5.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N1.

თარიღი: 15.01.2025 წ.

დადგენილება N6.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) სენატი არის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კოლეგიური ორგანო;

1.2. უნივერსიტეტის სენატი, თავის საქმიანობას ახორციელებს საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად;

1.3. სენატის მიზანია: ინსტიტუციის სტრატეგიული განვითარება, უნივერსიტეტის პოლიტიკის განსაზღვრა, ხარისხის უზრუნველყოფის მხარდაჭერა, უნივერსიტეტის ავტონომიის დაცვა;

1.4. სენატის უფლებაა: ინიციატივების შემოტანა, დასაბუთებული პოზიციის წარდგენა, საბოლოო გადაწყვეტილებების მიღება;

1.5. სენატის მოვალეობაა: სხდომებზე რეგულარული დასწრება, ობიექტურობა და მიუკერძოებლობა, ეთიკური სტანდარტების დაცვა;

1.6. სენატის პასუხისმგებლობაა: კოლეგიური ორგანოს ეფექტიანი ფუნქციონირება, გადაწყვეტილებების სამართლიანობა.

მუხლი 2. სენატის შემადგენლობა

2.1. სენატის შემადგენლობა განისაზღვრება შვიდი წევრით: დამფუძნებელი, რექტორი, სკოლის/სკოლების საბჭოს მიერ წარდგენილი 3 (სამი) აკადემიური აფილირებული პერსონალი, სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ წარდგენილი 2 (ორი) სტუდენტი;

2.2. სენატის წევრის უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება 6 (ექვსი) წლით;

2.3. სენატის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სენატის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით ხდება ახალი წევრის დანიშვნა;

2.4. სენატის სხდომებს მდივნობას უწევს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით დანიშნული პირი, რომელიც არ შედის სენატის წევრთა რაოდენობაში.

მუხლი 3. სენატის ფორმირება

3.1. უნივერსიტეტის დამფუძნებელი - არაცვლადი წევრი;

3.2. უნივერსიტეტის რექტორი - უფლებამოსილება ძალაშია თანამდებობაზე ყოფნის სრულ პერიოდზე;

3.3. სკოლის/სკოლების საბჭოს მიერ წარდგენილი 3 (სამი) აკადემიური აფილირებული პერსონალი - სკოლის საბჭო აცხადებს შესარჩევ პროცედურას სკოლის ფარგლებში, შერჩეული კანდიდატურა წარედგინება საბჭოს და საბოლოოდ ხმათა უმრავლესობით (ღია კენჭისყრით) აირჩევა სენატის წევრი აკადემიური აფილირებული პერსონალი;

3.4. სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ წარდგენილი 2 (ორი) სტუდენტი - თვითმმართველობა აცხადებს შერჩევას საკუთარი არხებით და დამოუკიდებლობის ფარგლებში ირჩევს ორ კანდიდატ სტუდენტს, რომელსაც წარუდგენს სენატს.

მუხლი 4. სენატის არჩევა

4.1. სენატის უფლებამოსილება განისაზღვრება 6 (ექვსი) წლით;

4.2. სენატის პირველ სხდომას ხსნის უნივერსიტეტის რექტორი და წარადგენს უნივერსიტეტის დამფუძნებელს, სკოლის საბჭოს მიერ წარდგენილ კანდიდატებს და სტუდენტთა თვითმმართველობის მიერ წარდგენილ კანდიდატებს;

4.3. სენატის პირველ სხდომაზე ირჩევა სენატის სხდომის თავმჯდომარე;

4.4. სენატი გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით.

მუხლი 5. სენატის უფლებამოსილებები

5.1. ამტკიცებს უნივერსიტეტის მისიას, დებულებას, ეთიკისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის კოდექსს, შინაგანაწესს;

5.2. ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმას და სამწლიან სამოქმედო გეგმას, ასევე ბიზნესუწყვეტობის მართვის მექანიზმებს და სამოქმედო გეგმას;

5.3. ამტკიცებს უნივერსიტეტის სტრუქტურას, იღებს გადაწყვეტილებებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეულების შექმნის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - ფაკულტეტის (სკოლის) შექმნის, რეორგანიზაციის და ლიკვიდაციის თაობაზე;

5.4. ამტკიცებს სკოლის/სკოლების საბჭოს წარდგინებით საგანმანათლებლო პროგრამებს და შესაბამისი სასწავლო კურსების სილაბუსებს;

5.5. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წარდგინების საფუძველზე ამტკიცებს ძირითადი საგანმანათლებლო და სტრუქტურული ერთეულების დებულებებს;

5.6. ამტკიცებს უნივერსიტეტის საქმისწარმოების წესს, სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესს, პერსონალის მართვის პოლიტიკას, პერსონალის მართვის წესს, ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკასა და ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკას;

5.7. ამტკიცებს ფინანსური სამსახურის მიერ წარმოდგენილ უნივერსიტეტის ბიუჯეტს;

5.8. განსაზღვრავს აკადემიური პერსონალის მიერ თანამდებობის დაკავების წესსა და პირობებს;

5.9. ამტკიცებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმებს და მექანიზმების შეფასების სისტემას;

5.10. ამტკიცებს სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიას, უცხოელ სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მოზიდვის ძირითად სტრატეგიებს, ელექტრონული სერვისებისა და მართვის ელექტრონული სისტემების განვითარების მექანიზმებსა და უნივერსიტეტის ოფიციალური ვებ - გვერდის ადმინისტრირების წესს;

5.11. განიხილავს უნივერსიტეტის წლიურ ანგარიშებს;

5.12. ამტკიცებს სტუდენტთა კონტინგენტის და აკადემიური/მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიას;

5.13. ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგიას;

5.14. ამტკიცებს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიას;

5.15. უფლება აქვს, სკოლის წარდგინების საფუძველზე განსაკუთრებული დამსახურებისათვის საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭოს მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს, რომელიც საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქეა;

5.16. ახორციელებს ამ დებულებითა და უნივერსიტეტის დებულებით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

მუხლი 6. სენატის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

6.1. პროფესორისა და სტუდენტის სენატის წევრობის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია უნივერსიტეტთან მისი შესაბამისი აკადემიური ან/და შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა;

6.2. სენატის წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში სენატის უფლებამოსილების დარჩენილი ვადით ხდება ახალი წევრის არჩევა.

6.3. სენატის თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საფუძვლებია:

ა. პირადი განცხადება;

ბ. მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლა;

გ. გარდაცვალება;

დ. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად აღიარება;

მუხლის 7. სენატის სხდომის ჩატარების წესი

7.1. სენატის სხდომები იმართება წელიწადში მინიმუმ ორჯერ;

7.2. სენატის პირველ სხდომაზე აირჩევა სენატის თავმჯდომარე;

7.3. სენატის სხდომები მოიწვევა თავმჯდომარის მიერ საკუთარი ინიციატივით ან თავად სენატის სრული შემადგენლობის 1/3–ის ინიციატივით;

7.4. სენატი გადაწყვეტილებას იღებს სენატის სრული შემადგენლობის უმრავლესობით;

7.5. სენატის სხდომების ჩატარებას ორგანიზებას უწევს და თავმჯდომარეობს თავმჯდომარე. მისი არყოფნის შემთხვევაში, სხდომაზე სენატის წევრთაგან აირჩევა სხდომის თავმჯდომარე, სენატის წევრთა სიითი შემადგენლობის უმრავლესობით;

7.6. სენატის სხდომას დადგენილი წესით იწვევს სენატის თავმჯდომარე, რომელიც უზრუნველყოფს წევრების ინფორმირებას სხდომის თარიღისა და დღის წესრიგის შესახებ;

7.7. სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება სენატის წევრთა უმრავლესობა. საკითხების გადაწყვეტა ხდება ღია კენჭისყრით. გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ საკითხს ხმას მისცემს სენატის საერთო შემადგენლობის უმრავლესობა;

7.8. სენატის წევრთა მიერ გამოთქმული მოსაზრებები და შეხედულებები აისახება სხდომის ოქმში, სენატის სხდომა ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სენატის თავმჯდომარე და სხდომის მდივანი.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებანი

8.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

8.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

8.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

8.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.